

**ევროპის კონვენცია სპორტული შეჯიბრებებისა და განსაკუთრებით ფეხბურთის  
მატჩებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობის და არასათანადო  
ქცევის შესახებ**

**სტრასბურგი 19.VIII.1985**

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და კულტურის შესახებ ევროპის კონვენციაში გაერთიანებული ქვემოთ ხელმოწერი სხვა ქვეყნები,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია თავის წევრთა შორის უფრო მტკიცე ერთიანობის მიღწევა;

შეშთითებს გამთქვამენ რა სპორტული ღონისძიებებისა და განსაკუთრებით, ფეხბურთის მატჩების მსვლელობისას მაყურებელთა მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის, ასევე მასთან დაკავშირებული შედეგების გამო;

აცნობიერებენ რა, რომ აღნიშნული პრობლემა საფრთხეს უქმნის იმ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (76) 41-ე რეზოლუციაში - „ევროპის ქარტია: სპორტი ყველასათვის“;

ხაზს უსვამენ რა სპორტის მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო გაგების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით, ევროპის სახელმწიფოთა ერთგულ და საკლუბო გუნდებს შორის ფეხბურთის მატჩების მნიშვნელობას, მათი სიხშირის გამო;

ითვალისწინებენ რა, რომ როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე დამოუკიდებელ სპორტულ ორგანიზაციებს გააჩნიათ ინდივიდუალური, მაგრამ ურთიერთშემავსებელი მოვალეობები მაყურებელთა მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის აღკვეთის მიზნით; ამავდროს, სპორტულ ორგანიზაციებს ეკისრებათ უსაფრთხოების დაცვის და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარების ვალდებულება;

მახანიათ რა, რომ ამ ორგანოებმა და ორგანიზაციებმა უნდა ითანამშრომლონ ყველა დონეზე აღნიშნული მიზნის მისაღწევად;

აცნობიერებენ რა, რომ ძალადობა წარმოადგენს ფართო რეზონანსის მქონე სოციალურ ფენომენს, რომლის გამომწვევი მიზეზი სპორტში არ უნდა ვეძიოთ, მიუხედავად იმისა, რომ სპორტული ღონისძიებები ხშირად იქცევა ძალადობის გამოვლენის არენად;

იღებენ რა გადაწყვეტილებას გაატარონ ერთობლივი ზომები სპორტულ ღონისძიებებზე ძალადობისა და მაყურებელთა არასათანადო ქცევის აღკვეთისა და გაკონტროლების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

**მუხლი 1 - კონვენციის მიზანი**

1. მაყურებელთა მხრიდან საფეხბურთო მატჩებზე გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის აღკვეთისა და კონტროლის მიზნით, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში გაატარონ აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყონ კონვენციით გათვალისწინებული დებულებების ამოქმედება;

2. მხარეები ამ კონვენციით გათვალისწინებული დებულებებს გამოიყენებენ სპორტის სხვა სახეობებთან და ღონისძიებებთან მიმართებაში, რომლებზეც ასევე არსებობს მაყურებელთა მხრიდან ძალადობისა და არასათანადო ქცევის გამოვლენის საფრთხე. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება ასეთი სპორტული ღონისძიებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიური თავისებურებები.

## **მუხლი 2 - შიდა კოორდინაცია**

მხარეები უზრუნველყოფენ თავიანთი სამთავრობო უწყებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებული კურსისა და მაყურებელთა მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის აღკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების კოორდინაციას, რაც შესაბამისად განხორციელდება საკოორდინაციო ორგანიზაციების ჩამოყალიბების მეშვეობით.

## **მუხლი 3 - ზომების გატარება**

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას უზრუნველყონ სპეციალური ზომების ფორმულირება და გატარება მაყურებელთა მხრიდან ძალადობის აღკვეთისა და ვაკონტროლების მიზნით, კერძოდ:

- ა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში არსებული რესურსების გამოყენება ძალადობისა და არასათანადო ქცევის შემთხვევათა აღკვეთის მიზნით, როგორც სტადიონის შიგნით და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისე სტადიონამდელ მისასვლელ ტერიტორიაზე;
- ბ. მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება და შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა უბნებში განლაგებულ პოლიციის სამსახურებს შორის;
- გ. ისეთი კანონების ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში მიღება, რომლებიც ითვალისწინებენ სათანადო ჯარიმებს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ზომებს მაყურებელთა მხრიდან ძალადობის გამოვლენის ან არასათანადო ქცევის შემთხვევაში.

2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ გულშემატკივართა კლუბების სათანადო ორგანიზებასა და საქმიანობას, ასევე ამ კლუბების შემადგენლობიდან დანიშნონ რწმუნებულები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაყურებელთა ინფორმირებასა და მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას მატჩების პერიოდში და თან ახლდებიან გულშემატკივართა ჯგუფებს გასვლით სპორტულ შეჯიბრებებზე.

3. მხარეები, საკანონმდებლო ნორმების ფარგლებში, კლუბებთან, გულშემატკივართა გაერთიანებებთან და ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობის გზით უზრუნველყოფენ მეზავრობის კოორდინაციას და ხელს შეუშლიან წესრიგის პოტენციურ დამრღვევთა გამგზავრებას გასვლით მატჩებზე დასასწრებად.

4. მხარეები, სპეციალური სანქციების დაწესებისა და სხვა საშუალებათა გამოყენების გზით, უზრუნველყოფენ სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების, სტადიონის მფლობელთა სახელმწიფო ორგანოების მიერ, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით მათთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად, პრაქტიკული ზომების გატარებას სტადიონთან და სტადიონის ტერიტორიაზე მაყურებელთა მხრიდან ძალადობის ან არასათანადო ქცევის აღკვეთისა თუ კონტროლის მიზნით, რაც მოიცავს:

- ა. სტადიონის დიზაინი და მისი კონსტრუქცია უნდა უზრუნველყოფდეს მაყურებელთა უსაფრთხოებას, არ უნდა უწყობდეს ხელს გულშემატკივართა მხრიდან ძალადობის გამოვლენას, იძლეოდეს მასებზე მუდმივი კონტროლის შესაძლებლობას, გააჩნდეს სპეციალური ბარიერები ან წინაღობები და ხელსაყრელ პირობებს ქმნიდეს საპოლიციო ძალების შეუზღუდავი მოქმედებისთვის.
- ბ. სტუმართა გუნდის გულშემატკივართათვის განკუთვნილი ტერიტორია მოწინააღმდეგე გულშემატკივრებისაგან სპეციალური ტერასებით უნდა იყოს იზოლირებული;
- გ. ასეთი იზოლაცია უზრუნველყოფილ უნდა იქნას ბილეთების გაყიდვაზე მკაცრი კონტროლის დაწესების გზით. მატჩის დაწყებამდე აუცილებელია უსაფრთხოების სპეციალური ღონისძიებების გატარება;

- დ. არსებული საკანონმდებლო ნორმების ფარგლებში მატჩებს და სტადიონზე დაშვება უნდა აკრძალოს ან იქედან გაძევებულ უნდა იქნან უკვე კარგად ცნობილი ან პოტენციური წესრიგის დამრღვევები, ალკოჰოლურ და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები;
- ე. სტადიონზე უნდა მოქმედებდეს საზოგადოებასთან კავშირის სისტემა, მატჩის პროგრამისა და სარეკლამო მასალების ეფექტურად გამოყენების გზით, რაც ვარკვეულწილად განაპირობებს მაყურებელთა სათანადო ქცევას;
- ვ. მაყურებლებს უნდა ეკრძალებოდეს სტადიონზე ალკოჰოლური სასმელების შეტანა; აუცილებელია სტადიონის ტერიტორიაზე შეიზღუდოს და უძულებსია საერთოდ აკრძალოს ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა და ნებისმიერი სახით გავრცელება, ხოლო ყველა არსებული სასმელი დაცული უნდა იყოს საიმედო ჭურჭელში;
- ზ. სტადიონებზე უნდა ვაკონტროლდეს მაყურებლების მიერ ისეთი საგნების შეტანა, რომლებიც შესაძლოა ვახდეს ძალადობის, ხანძრის ან მხგავსი საფრთხის მიზეზი;
- თ. წესრიგის დამცველნი, შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობის გზით, მატჩის დაწყებამდე გაატარებენ ზომებს მასებზე კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით.

5. მხარეები ვაატარებენ შესაბამის სოციალურ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს და აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელობას სპორტთან დაკავშირებული ძალადობის აღკვეთის მიზნით, კერძოდ, ისინი ხელს შეუწყობენ სპორტული იდეალების განმტკიცებას საგანმანათლებლო და სხვა სახის კამპანიების ჩატარებისა და ახალგაზრდა თაობაში სამართლიანი თამაშის მცნების დამკვიდრების გზით, რაც განამტკიცებს ურთიერთპატივისცემას მაყურებლებსა და სპორტსმენებს შორის და ამავე დროს უზრუნველყოფს სპორტულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას.

**მუხლი 4 – საერთაშორისო თანამშრომლობა**

1. მხარეები მჭიდროდ თთანამშრომლებენ ერთმანეთთან ამ კონვენციაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით და ხელს შეუწყობენ მხგავსი ურთიერთობების დამყარებას სპორტის შესაბამის ორგანოებს შორის თავიანთ ქვეყნებში.

2. საერთაშორისო საკლუბო და წარმომადგენლობითი მატჩების ან ტურნირების ჩატარებამდე, მხარეები მოიწვევენ კომპეტენტური ორგანოების, კერძოდ სპორტული ორგანიზაციების მესვეურთ, ისეთი მატჩების განსაზღვრის მიზნით, რომლებზეც მოსალოდნელია მაყურებელთა მხრიდან ძალადობის გამოვლენა. ასეთი მატჩის დაფიქსირების შემთხვევაში, მასპინძელი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები ვამართავენ კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეთა შორის არა უგვიანეს ორი კვირით ადრე მატჩის დაწყებამდე. ამ კონსულტაციებზე განხილვა ყველა ის ღონისძიება და ვამაფროთხილებელი ზომა, რომელიც უნდა ვატარდეს მატჩის დაწყებამდე, მის განმავლობაში ან შემდეგ, იმ დამატებითი ზომების ჩათვლით, რომლებიც კონვენციაში შეტანილი არ არის.

**მუხლი 5 – წესრიგის დამრღვევთა გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა**

1. მხარეები, დადგენილი იურიდიული პროცედურებისა და სასამართლოთა დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფენ ძალადობის ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში ეჭვმიტანილ მაყურებელთა გამოვლენასა და მათ პასუხისგებაში მიცემას.

2. მხარეები, საჭიროებისამებრ და კერძოდ, სტუმარი გუნდის გულშემატკივართა პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში, მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, ვალდებულნი არიან:

- ა. იმ პირის წინააღმდეგ აღძრული საქმე, რომელიც ეჭვმიტანილია სპორტული ღონისძიების დროს ძალადობის ან სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, ვადიტიანონ იმ ქვეყანაში, სადაც ეჭვმიტანილი პირს აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი;

ბ. უზრუნველყონ სპორტული ღონისძიების დროს ძალადობის ან სხვა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის ექსტრადიცია;

გ. უზრუნველყონ სპორტული ღონისძიების დროს ძალადობის ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებაში მსჯავრდებული პირების გადაცემა სასჯელის მოსახდელად შესაბამის ქვეყანაში.

### **მუხლი 6 – დამატებითი ზომები**

1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მჭიდროდ ითანამშრომლონ თავიანთი ქვეყნების შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან და კლუბებთან, საჭიროების შემთხვევაში სტადიონის მფლობელებთან, სტადიონების სტრუქტურაში ცვლილებების დაგეგმვასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით, უსაფრთხოების განმტკიცებისა და ძალადობის აღკვეთის მიზნით.

2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, საჭიროებისამებრ და გარკვეულ შემთხვევებში, უზრუნველყონ სტადიონთა შერჩევის დროს ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია ძალადობის აღკვეთისა და მაყურებელთა უსაფრთხოების ზომებით. აღნიშნული ვრცელდება განსაკუთრებით იმ სტადიონებზე, რომლებშიც თავს იყრის მაყურებელთა დიდი ან უამრავი რაოდენობა;

3. მხარეები აცხადებენ თანხმობას უზრუნველყონ შესაბამისი ეროვნული სპორტული ორგანიზაციების მიერ თავიანთი წესდებების რეგულარულად გადამოწმება, ისეთი ფაქტორების გაკონტროლების მიზნით, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ძალადობის გამოვლენას როგორც სპორტსმენთა, ისე მაყურებელთა მხრიდან.

### **მუხლი 7 – ინფორმაციით უზრუნველყოფა**

თითოეული მხარე ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს გადასცემს ევროსაბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე შედგენილ შესაბამის ინფორმაციას, რომელიც შეეხება მის მიერ ფუნქციონირების თუ სპორტის სხვა სახეობათა სფეროში ამ კონვენციის დებულებათა შესრულების მიზნით გატარებულ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებებს.

### **მუხლი 8 – მუდმივი კომიტეტი**

1. ამ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე იქმნება მუდმივი კომიტეტი.

2. მუდმივ კომიტეტში კონვენციის ნებისმიერი მხარე შეიძლება წარმოდგენილი იქნას ერთი ან მეტი დელეგატის სახით. თითოეული მხარე სარეგებლობს ერთი ხმის უფლებით.

3. ევროსაბჭოს ნებისმიერი წევრი ქვეყანა ან კულტურის შესახებ ევროპის კონვენციის ნებისმიერი სხვა მონაწილე სახელმწიფო, რომელიც არ არის ამ კონვენციის მხარე, შესაძლებელია დამკვირვებლის სახით იყოს წარმოდგენილი ამ კომიტეტში.

4. მუდმივ კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე, დამკვირვებლის სახით ერთ ან მეტ სხდომაში მონაწილეობის მიღების მიზნით მოიწვიოს ევროსაბჭოს არა-წევრი ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ არის კონვენციის მხარე და ასევე ნებისმიერი სპორტული ორგანიზაცია.

5. მუდმივი კომიტეტის სხდომებს იწვევს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი. პირველი სხდომა ჩატარდება კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში. ამის შემდგომ, კომიტეტის სხდომები ჩატარდება არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ. დამატებითი სხდომები შეიძლება ჩატარდეს მხარეთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზეც.

6. მუდმივი კომიტეტის სხდომის ჩატარებას განსაზღვრავს მხარეთა უმრავლესობის მიერ შედგენილი ქვორუმი.

7. ამ კონვენციის დებულებების საფუძველზე მუდმივი კომიტეტი კონსენსუსის წესით შეიქმნა და ამტკიცებს თავის საპროცედურო წესებს.

### **მუხლი 9**

1. მუდმივი კომიტეტი ვალდებულია დააწესოს მონიტორინგი წინამდებარე კონვენციის განხორციელებაზე, კერძოდ, ის:

- ა. პერიოდულად შეამოწმებს კონვენციის დებულებებს და განიხილავს ნებისმიერი ცვლილებების შეტანის საჭიროებას;
- ბ. ჩაატარებს კონსულტაციებს შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან;
- გ. მიაწვდის რეკომენდაციებს კონვენციის მხარეებს ამ კონვენციის მიზნების შესაბამისად გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით;
- დ. რეკომენდაციას გაუწევს სათანადო ღონისძიების გატარებას საზოგადოების ინფორმირების მიზნით ამ კონვენციის ფარგლებში გატარებული საქმიანობის შესახებ;
- ე. რეკომენდაციებს წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს ევროსაბჭოს არა წევრი სახელმწიფოების კონვენციაში გაერთიანებასთან დაკავშირებით;
- ვ. წარმოადგენს წინადადებას კონვენციის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

2. მუდმივ კომიტეტს შეუძლია, თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით, საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს ჯგუფების სხდომები.

### **მუხლი 10**

ყოველი სხდომის შემდეგ, მუდმივი კომიტეტი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს მოხსენებებს წარუდგენს მის მიერ ჩატარებული სამუშაოსა და კონვენციის ფუნქციონირების შესახებ.

### **მუხლი 11 - შესწორებები**

1. კონვენციაში ცვლილებათა შესატანად წინადადება შემოაქვს რომელიმე მონაწილე მხარეს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს ან მუდმივ კომიტეტს;

2. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ნებისმიერ ასეთ წინადადებას წარუდგენს ევროსაბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, კულტურის შესახებ ევროპის კონვენციის ხელმძღვანელ ქვეყნებს და ყოველ არა-წევრ სახელმწიფოს, რომელიც მე-14 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიუერთდა ამ კონვენციას ან მიწვეულია მისაერთებლად.

3. მხარის ან მინისტრთა კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ცვლილება მუდმივ კომიტეტს წარედგინება არა ნაკლებ 2 თვით ადრე იმ სხდომის მოწვევამდე, რომელზეც უნდა მოხდეს მისი მიღება. მუდმივი კომიტეტი შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან კონსულტაციის შემდეგ, ასეთ ცვლილებაზე თავის მოსაზრებას მიაწოდებს მინისტრთა კომიტეტს.

4. წარმოდგენილი შესწორების, ასევე მუდმივი კომიტეტის მიერ გამოთქმული მოსაზრების განხილვის შემდეგ, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია დაამტკიცოს ეს შესწორება.

5. მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ნებისმიერი ცვლილების ტექსტი ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დასამტკიცებლად გადაეცემათ კონვენციის მხარეებს.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით მიღებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შედის მხარეთა მიერ შესწორების მიღებასთან დაკავშირებით გენერალური მდივნისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან ერთი თვის შემდეგ პირველ დღეს.

## საბოლოო დებულებები

### **მუხლი 12**

1. ამ კონსულტაციაზე ხელის მოსაწერად უფლებამოსილი არიან ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები და კულტურის შესახებ ევროპის კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ კონვენციის სავალდებულობასთან დაკავშირებით თავიანთი თანხმობა გამოხატონ:

ა. ხელმოწერით დათქმის გარეშე, რატიფიკაციასთან, მიღებასთან ან დამტკიცებასთან დაკავშირებით; ან

ბ. ხელმოწერით, რომელიც ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას და რომელსაც მოსდევს რატიფიკაციას, მიღება ან დამტკიცება.

2. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან დამტკიცების აქტების შესანახად გადაეცემა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს.

### **მუხლი 13**

1. კონვენცია ძალაში შედის ევროსაბჭოს სამი წევრი სახელმწიფოს მიერ მე-12 მუხლის დებულებების თანახმად კონვენციის სავალდებულო ძალის აღიარებიდან ერთი თვის შემდეგ პირველივე დღეს.

2. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც თანახმაა იკისროს კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, კონვენცია ძალაში შედის კონვენციის ხელმოწერიდან ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების ან დამტკიცების აქტის დებონირებიდან ერთი თვის შემდეგ პირველივე დღეს.

### **მუხლი 14**

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი, კონვენციის მონაწილეებთან კონსულტაციის შემდეგ, უფლებამოსილია კონვენციაში გასაერთიანებლად მოიწვიოს ნებისმიერი არა წევრი ქვეყანა, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღება ევროსაბჭოს წესდების მე-20 დ. მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობის და მინისტრთა კომიტეტის წევრ ხელშეკვრულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

2. იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც უერთდება კონვენციას, კონვენცია ძალაში შედის ევროსაბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების აქტის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ პირველივე დღეს.

### **მუხლი 15**

1. კონვენციის ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტების დებონირების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც ვაზრცელდება აღნიშნული კონვენცია.

2. გენერალური მდივნის სახელზე შედგენილი დეკლარაციის საფუძველზე ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია მოგვიანებით გაავრცელოს ამ კონვენციის მოქმედება დეკლარაციაში განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთ ტერიტორიასთან მიმართებაში კონვენცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული დეკლარაციის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ პირველივე დღეს.

3. ზემოთ აღნიშნული ორი პუნქტის საფუძველზე შედგენილი ნებისმიერი დეკლარაცია გაუქმდეს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ასეთი გაუქმება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ პირველივე დღეს.

### **მუხლი 16**

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან 6 თვის შემდეგ პირველივე დღეს.

### **მუხლი 17**

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს, კულტურის შესახებ ევროპის კონვენციის სხვა წევრ ქვეყნებს და ამ კონვენციაში გაერთიანებულ ნებისმიერ სახელმწიფოს მიაწოდებს ინფორმაციას:

- ა. მე-12 მუხლის თანახმად განხორციელებული ხელმოწერის შესახებ;
- ბ. მე-12 და მე-14 მუხლების თანახმად, სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დებონირების შესახებ;
- გ. მე-13 და მე-14 მუხლების თანახმად, ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;
- დ. მე-7 მუხლის დებულებებით გათვალისწინებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით;
- ე. მე-10 მუხლის დებულებების საფუძველზე მომზადებული ნებისმიერი მოხსენების შესახებ;
- ვ. შესწორების შესატანად მე-11 მუხლის მიხედვით წარმოდგენილი წინადადების, მიღებული შესწორების ან შესწორების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- ზ. მე-15 მუხლის დებულებების მიხედვით შედგენილი ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ;
- თ. მე-16 მუხლის დებულებათა მიხედვით მიღებული რაიმე შეტყობინების და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემოთ ხელისმომწერნი, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილნი, ხელს აწერენ მოცემულ კონვენციას.

ტექსტი მომზადებულია სტრასბურგში, 1985 წლის 19 აგვისტოს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ერთ ეგზემპლარად. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია და ისინი ინახება ევროსაბჭოს არქივში. ევროსაბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის ყოველ წევრ სახელმწიფოს, ევროპის შესახებ კულტურის კონვენციის სხვა წევრ ქვეყნებს და კონვენციაში გასაერთიანებლად მოწვეულ ნებისმიერ ქვეყანას.